საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად
საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების არმქონე
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *სალომე სამხარაძის* ---------- შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	24	25
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	25	25
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	20	20
პროფესიული თვისებები	15	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	10	10
პროფესიული აქტივობა	0	5
ქულათა ჯამი	94	100

სახელი, გვარი: ვასილ მშვენიერაძე

თარიღი : 27.05.21

სალომე სამხარაძე

შეფასების დასაბუთება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის სალომე სამხარაძის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით.

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		კომენტარი
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	<u>კანდიდატის კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასება ეფუძნება სხვადასხვა უწყებებიდან გამოთხოვილ ინფორმაციას,</u> კერძოდ: - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებს კანდიდატის ადმინისტრაციული სამართალდარღვევების თაობაზე; - სს „კრედიტინფო საქართველოს“ მოწოდებულ სრულ პერსონალურ საკრედიტო ინფორმაციას; - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მონაცემებს კანდიდატის შემოსავლების შესახებ; - საჯარო სამსახურის ბიუროში კანდიდატის მიერ წარდგენილ ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციას;
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒	

		- კანდიდატის სამუშაო ადგილიდან (თბილისის სააპელაციო სასამართლოდან) მოწოდებულ ინფორმაციას კანდიდატის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ; აგრეთვე, მხედველობაში მივიღე კანდიდატის დახასიათების მიზნით წარმოდგენილი რეკომენდაციები და კანდიდატთან სამსახურებრივ და პირად ურთიერთობაში მყოფი პირებისგან გამოთხოვილი (სპეციალური კითხვარის ფორმით შედგენილი) დახასიათებები. გარდა ამისა, ვეყრდნობი კანდიდატთან გამართულ უშუალო გასაუბრებით მიღებულ შთაბეჭდილებას. **1. პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი:** მოძიებული მასალების თანახმად, კანდიდატის შემოსავლების დაუსაბუთებლობის ან უკანონობის ნიშნები არ გამოვლენილა. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით 2020 წლის 12 ნოემბრის მდგომარეობით კანდიდატს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტიდან გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად შესაფასებელი პერიოდის განმავლობაში კანდიდატს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული

		სამართალდარღვევა არ ჩაუდენია. ზემოხსენებული მონაცემების, რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებით, კანდიდატი გამოირჩევა პატიოსნებით და კეთილსინდისიერებით. გააჩნია მოვალეობების და პასუხისმგებლობისადმი გულისხმიერი დამოკიდებულება, სამსახურეობრივი მოვალეობების შესრულებისას ახასიათებს კორექტულობა და სიზუსტე. ხელთარსებული მონაცემებისა და დახასიათებების მიხედვით, შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს პიროვნული კეთილსინდისიერების პროფესიული სინდისის მახასიათებელს. **2. დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა** გასაუბრებით მიღებული შთაბეჭდილებითა და შესწავლილი მასალის ანალიზის შედეგად, უნდა ითქვას, რომ კანდიდატის პოლიტიკური ან სხვაგვარი მიკერძოებულობის, ასევე სხვადასხვა რელიგიის, რასის, ეროვნების, სოციალური, ეკონომიკური მდგომარეობის ადამიანებისადმი ტენდენციური ან შეუწყნარებელი დამოკიდებულების ნიშნები არ იკვეთება. გასაუბრებისას კანდიდატი ცდილობდა ყოველი დასმული საკითხი განეხილა გულწრფელად, ღიად და ობიექტურად. სალომე სამხარაძის პრინციპულობას, შეუვალობასა და ადამიანებისადმი თანაბარი პატივისცემით დამოკიდებულების უნარს პოზიტიურად აფასებენ

		რეკომენდატორები და გამოკითხული პირები. **3. პიროვნული და პროფესიული ქცევა** წარმოდგენილი მასალების შესწავლითა და გასაუბრებით მიღებული შთაბეჭდილების მიხედვით, შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი თავდაჭერილი და თავაზიანი ადამიანია. თითოეულ საკითხზე მსჯელობისას ამჟღავნებდა თანმიმდევრულობას და კორექტულობას. კანდიდატს პოზიტიურად აფასებენ რეკომენდატორები და გამოკითხული პირები. გარდა ამისა, გამორჩეულად აღნიშნავენ მის კომუნიკაბელურობას, თავმდაბალ და კეთილგანწყობილ დამოკიდებულებას ადამიანების მიმართ. არსებული ინფორმაციით, თბილისის სააპელაციო სასამართლოში მუშაობის პერიოდში სალომე სამხარაძის მიმართ დისციპლინური დევნა ან/და ადმინისტრაციული წარმოება არ განხორციელებულა. კანდიდატი სასამართლოში მხარედ არ გამოსულა. მის მიმართ სისხლისსამართლებრივი წარმოება არ განხორციელებულა. **4. პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია** კანდიდატის რეკომენდატორებისა და მასთან პიროვნულ და პროფესიულ ურთიერთობაში მყოფი პირების დახასიათება-შეფასებების მიხედვით, შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი სარგებლობს თავმდაბალი, გულისხმიერი, პატიოსანი პიროვნებისა და შრომისმოყვარე, კვალიფიციური იურისტის

		სახელით. კანდიდატის შესახებ ინტერნეტში რაიმე (პოზიტიური ან ნეგატიური) ინფორმაცია ვერ იქნა მოძიებული. რეკომენდატორებსა და გამოკითხულ პირებს კანდიდატის პიროვნულ ან პროფესიულ ნაკლოვანებებზე არ მიუთითებიათ. **5. ფინანსური ვალდებულება** მოძიებული ინფორმაციის მიხედვით, სალომე სამხარაძეს საკრედიტო, ან სხვა სახის მიმდინარე ვადაგადაცილებული ფინანსური (მათ შორის ბიუჯეტის მიმართ) ვალდებულება არ გააჩნია. როგორც უკვე აღინიშნა, შესაფასებელი პერიოდის განმავლობაში კანდიდატს არ აქვს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევები. საბოლოოდ, ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, არ ვლინდება კანდიდატის კეთილსინდისიერების ეჭვქვეშ დაყენების რაიმე საფუძველი. შესაბამისად, მიმაჩნია, რომ ის სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			კომენტარი
კრიტერიუმი	მიღებული ქულა	მაქსიმალური ქულა	
სამართლის ნორმების ცოდნა	24	25	<u>სამართლის ნორმის ცოდნის მახასიათებლით კანდიდატის შეფასება ეფუძნება მის მიერ წარმოდგენილი სტატიის ანალიზს, იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებასა და კანდიდატთან ჩატარებული უშუალო გასაუბრებით მიღებულ შთაბეჭდილებას.</u> გასაუბრებით მიღებული შთაბეჭდილებებითა და კანდიდატის მიერ წარმოდგენილი სტატიის ანალიზით შეიძლება ითქვას, რომ სალომე სამხარაძე საკმაოდ კარგად ფლობს საქართველოს სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის როგორც მატერიალური, ისე საპროცესო სამართლის თეორიულ საფუძვლებს. კანდიდატს აქვს სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი, არგუმენტირებული და დახვეწილი სამართლებრივი მსჯელობა. კანდიდატის პიროვნულ და პროფესიულ თვისებები, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალში თეორიული

			ცოდნა და პრაქტიკაში მის გამოყენების შესაძლებლობები საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელ საბჭოს პოზიტიურად აქვს შეფასებული, ხოლო სისხლის სამართლის დარგის მიმართულებით აღნიშნულია, რომ სალომე სამხარაძემ გამოავლინა საფუძვლიანი თეორიული ცოდნა.
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	25	25	<u>სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებლით შეფასება ეფუძნება მის მიერ წარმოდგენილი სტატიის ანალიზს, იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებას, კანდიდატთან ჩატარებული უშუალო გასაუბრებით მიღებულ შთაბეჭდილებასა და მისი პროფესიული გამოცდილების შეფასებას.</u> მიმაჩნია, რომ შესწავლილ სტატიაში კანდიდატის მიერ ჩამოყალიბებული მოსაზრებები ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით არგუმენტირებულია და დასაბუთებულია კვალიფიციურად. თვალსაჩინოა, რომ კანდიდატს შეუძლია სამართლებრივი პრობლემის არსის სწორად დანახვა, ძირითად საკითხზე კონცენტრირება და მისი ანალიზი. კანდიდატს გააჩნია თანმიმდევრული მსჯელობისა და განხილული მასალის საფუძველზე ლოგიკური დასკვნის გაკეთების უნარი. გასაუბრების მიმდინარეობისას კანდიდატმა შეძლო სამართლებრივი საკითხების განხილვისას საკუთარი მოსაზრების, ცხადად და არგუმენტირებულად დასაბუთება და საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკის მოშველიებით

			განმტკიცება. კანდიდატის სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალში საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელ საბჭოს პოზიტიურად აქვს შეფასებული. სალომე სამხარაძის (9 წელი და 9 თვე) პროფესიული გამოცდილება სრულად სასამართლო სისტემაში სხვადასხვა თანამდებობებზე საქმიანობას მოიცავს. კანდიდატს სამოსამართლო პრაქტიკა არ გააჩნია.
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	**20**	**20**	<u>წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარის მახასიათებლით შეფასება ეფუძნება მის მიერ წარმოდგენილი სტატიის ანალიზს, იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებას, კანდიდატთან ჩატარებული უშუალო გასაუბრებით მიღებულ შთაბეჭდილებას, რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებებს.</u> შედეგად, მივიჩნევ, რომ კანდიდატი მეტყველებს გარკვევით, საუბრისას საკმაოდ მშვიდი და გაწონასწორებულია. გააჩნია დასმული შეკითხვის არსის აღქმისა და სხვის მიერ გამოთქმული აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი. ზოგადად, დატოვა ტაქტიანი და კომუნიკაბელური ადამიანის შთაბეჭდილება. გასაუბრების მიმდინარეობისას კანდიდატი სამართლის მატერიალურ და

			საპროცესო ნორმათა შინაარსს გადმოსცემდა თანმიმდევრულად და ლოგიკურად გამართულად. გასაუბრებისას შეიმჩნეოდა მცირედი მღელვარების ნიშნებიც, რაც ბუნებრივად მიმაჩნია კანდიდატის გამოუცდელობიდან გამომდინარე, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მღელვარებას ნეგატიური გავლენა არ მოუხდენია პასუხებზე. რაც შეეხება, კანდიდატის სამაგისტრო ნაშრომს იგი შესრულებულია გასაგები ენით და იკითხება ადვილად. აზრი ნათლად და გარკვევით არის გადმოცემული. შემიძლია დავასკვნა, რომ იგი ადეკვატურად გადმოსცემს სათქმელს როგორც ენობრივად, ისე პროფესიული სპეციფიკის გათვალისწინებით. მიმაჩნია, რომ წერილობითი მასალა დაინტერესებული პირისათვის რთულად აღსაქმელი არ არის. შესწავლილ მასალაში თვალსაჩინო გრამატიკული ან რედაქციული ხასიათის შეცდომები არ გამოვლენილა. ამ მხრივ კანდიდატს პოზიტიურად ახასიათებს როგორც იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭო, ისე რეკომენდატორები და გამოკითხული პირებიც.
პროფესიული თვისებები	15	15	<u>პროფესიული თვისებების მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას დავეყრდენი იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებას, რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებებს.</u>

			აღნიშნულის საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ სალომე სამხარაძე არის პუნქტუალური, ორგანიზებული, შრომისმოყვარე და შედეგზე ორიენტირებული პიროვნებაა.
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	10	10	<u>აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას დავეყრდენი იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებას, რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებებს.</u> სალომე სამხარაძეს 2018 წელს ჩაბარებული აქვს ადვოკატის საკვალიფიკაციო გამოცდა სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციით. ასევე, 2019 წელს ჩაბარებული აქვს მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა სამოქალაქო ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციით. კანდიდატს წარმატებით აქვს დასრულებული იუსტიციის უმაღლესი სკოლის სრული პროგრამა (2019წ.–2020წ.). მას ახასიათებენ მუდმივად სიახლეების ძიებაში მყოფ, მზარდ პროფესიონალად. რეკომენდატორების გადმოცემით, სალომე სამხარაძე მონაწილეობდა პროფესიული წვრთნის პროგრამებში და მიღებულ ცოდნას ეფექტურად იყენებდა საქმიანობაში. ბოლო წლების განმავლობაში ინტენსიურად მონაწილეობდა სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე მოწყობილ ტრენინგებში. მიმაჩნია, რომ კანდიდატს შეუძლია საკუთარი ცოდნისა და პროფესიული უნარების რეალიზება.

პროფესიული აქტივობა	0	5	<u>პროფესიული აქტივობის მახასიათებლით კანდიდატის შეფასება ეფუძნება მის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას.</u> კანდიდატის სამეცნიერო პუბლიკაციების ან სხვა სახის პროფესიული აქტივობისა და დამსახურებების თაობაზე ინფორმაცია წარმოდგენილი არ არის.
ქულათა ჯამი	94	100	

სახელი, გვარი: ვასილ მშვენიერაძე

თარიღი : 27.05.21

ხელმოწერა: